



# ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

## გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 210

ქალაქი ქუთაისი 28 ოქტომბერი 2015 წელი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 ივლისის N39 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო აღნიშნავს, რომ საკრებულოს წევრი, ნატო ქათამაძე 2015 წლის 22 ოქტომბრის N232-02 წერილობითი განცხადებით ითხოვს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის შემადგენლობიდან გასვლას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე:

**მუხლი 1.** შეტანილ იქნეს ცვლილება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 ივლისის N 39 განკარგულებაში, კერძოდ:

1. გამოყვანილ იქნეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის შემადგენლობიდან საკრებულოს წევრი, ნატო ქათამაძე პირადი განცხადების საფუძველზე.

/საკრებულოს წევრის, ნ.ქათამაძის წერილობითი განცხადება წინამდებარე განკარგულების დედანს თან ერთვის/

2. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განკარგულების 1-ლი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „**მუხლი 1.**“ დამტკიცდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის შემადგენლობა საკრებულოს შემდეგი წევრებისაგან:

1. გოგისვანიძე დავითი
2. წინწკილაძე რობიზონი
3. ლომინაძე ზაზა
4. ჯანაშია დავითი

**მუხლი 2.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრაძის ქუჩა №11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

**მუხლი 3.** განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარის  
მოადგილე

ნიკოლოზ ლატარია